რიალთში უნდა, ვჯობა განახლება, როგორც გათლებით დარბიან საძაგელი ტრაკალები კაცვლით მოპირაკეთებულ ადგილებზე. გლეჯ ხედაპირზე. ეს კი ალბათ არ იცით, რომ მოთლიდან ან უღნე ვიწრო ყელისაან მინის ქალიდან ტრაკაინ ვრავრითი ვერ გამოლწვს. თათების ბუნებრივად მისი აცსეთი წინააღმდეგობა არ არსებობს, ისინი თავისუფლად დაბრბინ ვერტიკალურ კედლებზე და ჰერ შიცი. ამ მწერის თითოეულ თათზე, ასეთი მის ფეხი აქვს, თუმცა რესი ბრჭყალი გააჩნია, რომელიც უკანის მხრივ 2-3 ბალიში — საწოვარია განალკებული, სწორედ მათი წყალშითის გრძობაზე თავს ასე ლადა ნებისმიერ ზედაპირზე ბუნებია. ალბათ, მიგატყვევით ვურადლება უკანი თათებზე შემდგარი მაიმუნებისათვის. შიმახ ზეფს, გორიბებს, ორანგუტანებს, გიბონებს აშკარად გრძელი ხელები და მოკლე ფეხები აქვთ. ცხადია, ეს შემთხვევითი არ არის. ხეია ტოტებზე სასწრაფოდ ხელებს უფრო მეტი მოეთხოვება. ხელებზე ჩამოკიდებული გიბონი, ერთი ტოტიდან მეორეზე გადაფრენისას, ხან მარცხენა ხელით ედალუქება მათ, ხან მარჯვენათ. ფეხები ამ დროს უშვად არის და მაიმუნს იგი მუცელთან აქვს აკეცილი. ზოგჯერ ცხოველი ტოტიდან ტოტზე გადაადგილებისას ძალზე დიდ სიჩქარესაც ავითარებს და საოცარი კარობატულ ტრიუკებსაც ასრულებს. მაგრამ ვაი, რომ ხელებზე ასეთი მოგ ზაურთობა მაიმუნებს ზოგჯერ საცოცხლის ფასად უჯდებათ. მსოფლიოს მრავალ მუხუდში არსებული გიბონების ჩონჩხები იმაზე მეტყველებს, რომ მაიმუნებს შორის ძალზე ხშირია ტრაკატიბიზმი.



ზის...

ელიზაბეტ ფენსეტი

ფანტასტიკური მოთხრობა

ფანტასტიკური მოთხრობა

— გაიმეორეთ ჩემთან ერთად, — თქვა მასწავლებელმა, — „კატა ფანჯარაში ზის“, სამი-ოთხი...

— „კატა ფანჯარაში ზის“, — მორჩილად გაიმეორა ყველამ, გარდა სინდისა.

— სინდი! — მის პელიმ გოგონას მიაპყრო მზერა, — რატომ ყველასთან ერთად არ იმეორებ?

— იმიტომ, რომ ეს სულელური ლექსია, მის პელ, — უპასუხა გოგონამ. — იქ, სადაც მე დავიბადე, კატები ფანჯრებში არ სდებიან, ისინი ძალიან დიდები არიან, სამი მეტრის სიმაღლისა და ყველანი ფერადები არიან, ცისარტყელასავით.

კლასში ხარხარი ატყდა.

— შენ სულ არ მიგონებ, სინდი, — შენიშნა შენუსებულმა მასწავლებელმა. — ალბათ დირექტორს უნდა შევიჩვიო შენი ამბავი. გაკვეთილი დამთავრებულია, — მიმართა მან კლასს.

ბავშვები სინდის შემოუსვივნენ და ყველანი სათამაშოდ გაცვივდნენ.

მის პელი ერთხანს ასე იდგა სკოლის ფსიქოლოგის კაბინეტის წინ, ვერ გადაეწყვიტა შესულიყო თუ არა. ბოლოს გააბედობა მოიკრიბა, სმაპალა დააკაუნა და შევიდა.

მისტერ ელიმ დაჯდომა შესთავაზა და აღელვებული მის პელი სკამის კიდველ ჩამოჯდა.

— იცი, პირველ კლასში ერთი ჯიუტი გოგონა მყავს, — დანიყო მასწავლებელმა, — არ ვიცი, რა მოუსვსერსო. დღეს უფირ თქვა ლექსის გამეორებაზე, სომ იცი, არ, ლექსი „კატა ფანჯარაში ზის“... ასე მითხრა, კატები ფანჯრებში არასოდეს არ სხედანო. ყოველ შემთხვევაში იქ, სადაც მე დავიბადეო.

ფსიქოლოგი ცდილობდა სიცილი შეეკავებინა.

— ის კი არ უთქვამს, მაინც სად დავიბადეო? — ჰკითხა მან აღელვებულ მასწავლებელს.

— არა, მაგრამ ასე ამბობს, ჩემს სამშობლოში სამმეტრიანი კატები იყო!

მისტერ ელი შეფიქრიანდა.

— თავს როგორა გრძნობ, მის პელი?

— საუცხოოდ!
— შინ ყველაფერი რიგზე გაქვით?

— იცი, რას გეტყვით? — შესძახა მასწავლებელმა, — მე ჩემ მოსწავლეზე სალაპარაკოდ მოვედი, და არა ჩემზე. თუ არ გინდათ, დამეხმარეთ, უთქვენოდ მოვეუფლი სინდის. კარგად ბრძანდებოდეთ!

— გოგონა კარგად სწავლობდა, — გაუბედავად დაიწყო მის კლაუდიმ, მესამე კლასის მასწავლებელმა, — ახლა კი ურჩობს და ყველაფერს უკუღმა აკეთებს.

— უკუღმა? — ჩაევიტა ფსიქოლოგი. — ეი. რა, უკან-უკან დადის და მარჯვნიდან მარცხნივ წერს?

— არა, მაგრამ... აი, მაგალითად, ბავშვებს დესანერად მივეცი თხზულება თემაზე „ჩემი სასლი“, იმ გოგონამ კი, იცი, რა დამიწერა? ფანტასტიკური მოთხრობა! ინებეთ, აი, მისი რვეული.

ფსიქოლოგმა გულდასმით წაკითხა რამდენიმე გვერდი.

— ჰო, — ჩაილაპარაკა მან, მერე გაჩუმდა, — მაგრამ ეს ხომ...

— დიას, სწორედ ასეთა! — შესძახა მის კლაუდიმ. — მე მოსწავლეებს ვთხოვ გულწრფელები ყოფილიყვნენ, ზღაპრები კი არ შეეთხზათ!

— თქვენ ფიქრობთ, რომ გოგონას ზედმეტად აქვს განვითარებული წარმოსახვის უნარი? — ჰკითხა მისტერ ელიმ.

— საესებით შესაძლებელია. იცი, როგორ მოვიქციე, ეს ნაუღლებანი რომ წავიკითხე?

— როგორ?

— ახალი თხზულება მივეცი დესანერად, ისეთი, ამ გოგონას ფანტაზიას გასაქანი რომ მისცემოდა. — სწორი გადაწყვეტილებაა.

— არა, არ არის სწორი. აი, ინებეთ! — და მის კლაუდიმ კიდევ ერთი რვეული გაუწოდა ფსიქო-

ლოგს.
მისტერ ელიმ რამდენიმე სტრიქონი წაკითხა და თავი ასწია.

— რა, მოსაწყენია? — ჰკითხა მის კლაუდიმ. — მეც მოსაწყენი მერყენა. მე ვთხოვე იფანტაზიორეთ, უხილავი პლანეტა წარმოიდგინეთ-მეთქი, ეს გოგონა კი ადგა და ჩვენი დედაძინა აღწერა.

— და, რაო, თვითონ როგორ ხსნის ამას?

— ასე ამბობს, სწორედ დედამინაა უცხო პლანეტაო.

— რას ბრძანებთ? იცი, რა, მის კლაუდი, მომეცით თხზულება „ჩემი სასლი“, მინდა გულდასმით წავიკითხო, იქნებ რაიმე საკულო ხსნოს მივაგნო.

პარმული მის ტრიმბლი იდგა.

— მე ისტორიასა და ხატვას ვასწავლი, მისტერ ელი, — თქვა მასწავლებელმა — და იცი, ერთი ბავშვი მყავს კლასში... ისტორიის გაკვეთილებზე ეს გოგონა პირდაპირ მათვებს თავისი ცოდნით. გულწრფელად გეტყვით, დიდი ხანია, მე და მას აღვიღებთ გაცვლილი უნდა გვექრდეს.

— რას ბრძანებთ, როგორ გეკადრებთა?! — ყასიდად შეიცხადა ფსიქოლოგი.

— დამიჯერეთ, ექიმო, ეს ასეთა, მას შეუძლია ჩამოთვალოს ინგლისის ყველა მუზეუ, მოყოლებული აღფრედ დიდის დროიდან. ერთხელ ისიც კი მითხრა, ვინ იქნება მომდევნო მონარქი ჩვენს ქვეყანაში ასი წლის შემდეგ და ისიც, შემდგომში ვინ იმეფებს. ხანდახან ასე გმორბა, რომ ამ გოგონას შეუძლია მომავალში ჩაიხედოს და გაიგოს, რა იქნება ათასი წლის შემდეგ!

— საოცარია! — შესძახა მის ტერ ელიმ.

— სათვის გაკვეთილზე კი, — განაგრძო მის ტრიმბლიმ და ვარაუდები ჩაჯდა, — ეს გოგონა ძალზე უცნაურ პეიზაჟებს ხატავს, უჩვეული ფერებს ხმარობს, საოცარ სახლებსა და ისეთ ადამიანებს ხატავს, რომლებიც ჩვენ არ ვგვხვან, და კიდევ უზარმაზარ კატებს ხატავს. რა თქმა უნდა, ყოველ მოსწავლეს შეუძლია ის დახატოს, რაც უნდა... მაგრამ ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს რაღაც

ისეთის თქმა უნდათ ჩემთვის, რასაც ვერ მიხვდები...

— მის ტრიუმბლს, — აღელდა ფსიქოლოგი, — თუ შეიძლება, მოთხარით, რა ჰქვია იმ მოსწავლეს?

— სინდი, — უპასუხა მასწავლებელმა, — სინდი ელიანა.

მისტერ ელი შეერთა. აზრი, თავში რომ მოუვიდა, მისი ახალი ფანტასტიკური მოთხრობისათვის უფრო ვარგაოდა...

— მე ახლა კლასში მივდივარ, — შეწყვეტინა ფიქრი მის ტრიუმბლს, — თუ გნებავთ, შეგიძლიათ წამოწყვეთ.

გოგონა კუთხეში იჯდა, ფანჯარასთან. წითური იყო, ლამაზი. მან შემოსულს თვალებში შეხედა და ექიმ ელის იდუმალების მწვავე შეგრძობა დაუფლდა.

— განარჯობა, სინდი, — უთხრა ექიმმა. გოგონამ გაუღიმა.

— მე მომწონს შენი ნახატები, — განაგრძო ფსიქოლოგმა, — თხზულებებიც საუცხოოა. აი, მის პედი კი გამაყრადოდა შენზე.

— მე ძალიან ვწუხვარ, — უპასუხა სინდომ, — მაგრამ მისი მეთოდები უსაშველოდ დაძველდა. ისე სწავლება, მის პედი რომ გვასწავლის, აღარ შეიძლება, ამ რეაგენტაზე კი. მე კიდევ იმდენი რამ უნდა გასწავლო. თვითონაც ბევრი არ მაქვს სასწავლი. დრო არ მყოფნის და ერთდროულად რამდენიმე ადგილზე მიზღვება ყოფნა.

— განა შენ აღნებავს არ არსებობს ისეთი კატეგორია, როგორც დროა? — ჰკითხა მისტერ ელიმ.

— არა. ჩვენ დედამიწის მკვიდრო არ გვაგონო... მაგრამ მითხარით, როგორ მისვლით ვინა ვარ?

— მე ფსიქოლოგი ვარ.

გოგონამ გაოცებით შეხედა მის ტერ ელის.

— მის პედი მიამბო შენზე, მის კლასში შენი თხზულებები წამაკითხა, მის ტრიუმბლს კი გადაწყვიტა შენი თავი გაეცნო ჩემთვის.

— ფსიქოლოგი, — ფიქრთან და გაიფორა გოგონამ, — საინტერესოა.

— მე მწერალიც ვარ, — დასძინა მის ტერ ელიმ, — მთლად ილბლიანი ვიქვამ, მაგრამ იმედი მაქვს, რომ როდისმე ბედი გამიღობებს.

— აუცილებლად გაგიღობებთ ბედი, — ისე თქვა სინდომ, თითქოს დანაშაულებით იცოდა ეს.

— მართლა? იცი, მე საუცხოო მოთხრობა ჩავიფიქრე. შეიძლება შენზე და შენს პლანეტაზე დავწერო?

— რატომაც არა, შეიძლება. —

ლიმოლით უპასუხა სინდომ, — როდონ ასეთ შემთხვევაში ჩვენი სკოლის სადურგლო სახელოსნოში უნდა შეიხვედით.

— გისმენთ! — მაკერად მართა სკოლის დირექტორმა მის პეღის.

— სულ კი ამ გოგონას ოინება, — დაიწყო მის პეღიმ, — მასწავლებლებს, საშუალო რამეებს ამბობს... კატები სამი მეტრის სიმაღლის არიანო...

— გასაკვირი არაფერია, მის ასაკში ყველა ბავშვი ამბობს სისულელეს.

მის პეღიმ კვლავ დაალო პიერი, მაგრამ ამ დროს კარზე დააკაკუნდა. ოთახში მის კლასი შეიშინდა.

— მეგონი, უდროო დროს მოვივლი.



— თქვა მან და გაბრუნება დააპირა, მაგრამ ამ დროს კარი ყურთამდე გაიღო და მის ტრიუმბლი შემოვიდა.

— დაბას... — წარბი შეიკრა დირექტორმა, მის სიმში, — როგორც ჩანს, ეს მეოთხედი ადვილი არ იქნება. აბა, მიაბებთ, რა სდება.

— მე უნდა ვიცოდე ამ გოგონების ვინაობა, — მაკერად თქვა მან, მას შემდეგ, რაც ყველას მოუსმინა. — მითხარით მათი სახელები.

— სინდი ელიანა, — ერთხმად უპასუხეს მასწავლებლებმა და გაოცებით გადახედეს ერთმანეთს. პირველი მის პედი მოეგონა.

— ერთი წუთით! — შესასა მან, — არაფრით არ შეიძლება სინდი მესამე კლასში სწავლობდეს, ის ხომ სულ ექვსი წლისაა!

— არა, გოგონა რვა წლისაა, — შეისიტყვა მის კლასში.

— ათისა! — შეჰყვირა მის ტრიუმბლს.

— მე მაინც ვერ გავიგე, რომელ კლასშია ეს სინდი ელიანა? — იკითხა დაბნეულმა მის სიმში.

— რა თქმა უნდა, პირველში, თქვა მის პეღიმ.

— მესამეში! — აღშფოთდა მის კლასში.

— რას ამბობთ, გოგონა მესამე კლასში სწავლობს! — შესასა

მის ტრიუმბლს.

მის სიმის თავგზა აებნა.

— მომიხინეთ, ასლავე დაყურევკე მივივან.

დირექტორმა მღვიან კალიმივლის სკოლის საერთო ყურნალი ხელიდან გამოსტაცა და მოუთხრელად დაუწყო ფურცვლა.

— ნამდვილად ვაგვიძვებო. აქ საერთოდ არ წერია არავითარი სინდი ელიანა.

— რას ბრძანებთ, მის მის? — კაბინეტში მისტერ ლი შემოვიდა, შრომის მასწავლებელი, — ვინ არ არის ჩაწერილი, რა ბრძანებთ?

— სინდი ელიანა! — უპასუხა საგონებელი ჩავარდნილმა დირექტორმა.

— კი მაგრამ, სინდი ჩემს კლასში სწავლობს. ნეტავ განახათ, რა უჩვეულო შესწავლის მაკეტებს აკეთებს ფანერისაგან ან რა უცნაურ ცხოველებს ხერხავს ბენვა ხერხით!

— გაშაგებინეთ, ბოლოს და ბოლოს რამდენი წლისაა ეს გოგონა? — ჩაილაპარაკა მის სიმში და გაოგნებულმა შეხედა კოლეგებს.

— თორმეტის, — უპასუხა მისტერ ლიმ, რა არის რომ?

— მე გგონია, — თქვა დირექტორმა, — დროა ყველამ ექიმ ელის მივმართოთ!

— ექვსი წლის სინდი, რომელიც უარს ამბობს გაიმეოროს ლექსი კატაზე, ფანჯარაში რომ მის, რვა წლის სინდი, რომელმაც ორი უცნაური თხზულება დაწერა, ათი წლის სინდი, რომელმაც ჩინებულად იცის ისტორია და შეუძლია მომავალი იწინასწარმეტყველოს. ეი. სკოლაში სამი სხვადასხვა გოგონაა თუქცა... ვითომ სხვადასხვები არიან? შეიძლება, რომ სამივე ერთი და იმავე ადამიანს წარმოადგენდეს? არ ვიცი... ალბათ შეიძლება... სადღაც, სხვა სამყაროში... — მისტერ ელი გაჩუმდა.

— გულწრფელად რომ გითხრათ, მე სხვას არც ველოდ თქვენგან... — ამოიხარა დირექტორმა.

— თუ გინდათ ჩემი აზრი იცოდეთ, — ჩაილაპარაკა მის კლასში, — ყურნი მათხოვეთ. მე მეგონი, ყველა ეს სინდი ერთი და იგივე ურჩი გოგონა, რომელიც ყველას გვაცუქნავდა. შეუძლია ხან ექვსი წლისად მოგვაჩვენოს თავი, ხან ათი წლისად და სარგებლობს ამით...

— სისულელეა! — განყრა მის სიმში. — წინშეწავლა არ აქვს მამადნი სინდი ჩვენ სკოლაში. მოგვარია, რომ ყველანი გვაბამპულობავენ, ყოველ შემთხვევაში სამი მათგანი ტყუის, როცა ამბობს, რომ მათი გგონია ელიანა. ასლა აქედები და ცხრილს შევცვლი, სადი-

ის შემდეგ ის კლასები, რომლებშიც ის გოგონები არიან, ერთდროულად იმეცადინებენ, მაშინ გამოჩნდება, სინამდვილეში რამდენნი არიან.

— ჩვენ ერთ არსებასთან გვაქვს საქმე, — ვიუტად გაიმეორა მისტერ ელიმ, — ოღონდ ამ არსებას ძალუძს რამდენიმე სახით გამოგვეცხადოს. ისე, რომ ოთხივე კლასში თითო სინდი რომ აღმოვჩინოთ, ეს კიდევ არ იქნება იმის დადასტურება, რომ ის...

— რა ის? — დაცინვით ჰკითხა მის სიმომ.

— რატომაც არა? რატომ ვერ იჯერებთ, რომ სინდი სხვა პლანეტიდან ჩამოფრინდა, რათა იქაურთოს შესახებ გვიამბოს და რაღაც გავსწავლოს?

— პირადად ჩემთვის მას არაფერი უსწავლებია, — განაცხადა მის პელიმ.

— კმარა! — ჩაერია დირექტორი. — სადილის შემდეგ მე თვითონ შევად იმ კლასებში, სადაც სინდი ჩნდება.

მასწავლებლები ელოდნენ, დღეადნენ, ხმას არ იღებდნენ. მის სიმომც კი ჩაცხარა.

სინდი ოთხივე კლასში აღმოჩნდა. მისი მწვანე მცინარე თვალების გახსნებაც კი ნერვებს უშლიდა დირექტორს, თუმცა კი იგი დარწმუნებული იყო, რომ მხოლოდ ტყუპი დები ნახა და სხვა არაფერი. გოგონები ერთად შემოვიდნენ და დირექტორის წინ გამჩქარდნენ. სიმაღლით თუ გაარჩევდით ერთმანეთისგან, თორემ დანარჩენში სულ ერთნაირები იყვნენ.

— კეთილი ინებეთ და ამისხენით თქვენი, რბილად რომ ვთქვათ, უჩვეულო საბეჭდილი, — გამოუცხადა დირექტორმა გოგონებს. — სასებით ცხადია, რომ თქვენ დები ხართ. თქვენი გვარი დაგვისახელოთ.

— ელიანა, — ერთხმად უპასუხეს გოგონებმა.

— სკოლის უფრნალში ასეთი გვარი არ არის.

— ახლავე გაიხსენით, — თქვა თორმეტი წლის სინდიმ, — საქმე ის გახლავთ, რომ ჩვენ ეს-ეს არის ჩამოყვდილი სხვა... ქვეყნიდან და ვერცერთ სკოლაში ვერ ჩავირიცხეთ, ვერ მოვასწარიო, მეცადინეობა უპვე დანწყებული იყო. ამიტომაც გადაწყვიტეთ, უბრალოდ გვეყოლიებოთ.

— უბრალოდ გვეყოლიებოთ გავკეთილებზე? — მის სიმომ მოიღუშა, — კეთილი და პატიოსანი. მაინც სინდი რომელია თქვენში?

მისტერ ელიმ სუნთქვა შეიკრა. თორმეტი წლის სინდი მის წინ

ნადაგ ნაბიჯი.

— მის სიმ, ჩვენ უბრალოდ ვიხუმრეთ, გვაპატიეთ, თუ შეიძლება. სინდი მე მქვია.

ფსიქოლოგმა ნაღვლიანად შეხედა გოგონებს, მათ თვალი მოარიდეს მას.

— ძნელი სათქმელია, სადამდე მიგვიყვანდა ეს თქვენი ხუმრობა, ჩვენ რომ ამისთვის ბოლო არ მოგველო, — ცივად გამოსცრა მის სიმომ. — გადაეცით თქვენი მშობლებს, რომ მათ სპეციალური ნებართვა უნდა მიიღონ, თუ უნდათ, რომ თქვენ მომავალშიც ისწავლოთ ჩვენ სკოლაში. გასაგებია?

— დიას, მის სიმ.

გოგონები ისე გავიდნენ კლასიდან, რომ მისტერ ელისაკენ არ გაუხედავთ.

— სამუსხაროა... — ჩაილაპარაკა მისტერ ლიმ. — ჩემი სინდი ისე გარდად მუშაობდა ბუნვა ხერხით...

— ახლა ჩემი როგორ ხატავდა! — შესაძა მის ტრიმბლიმ.

— ჩემსას კი ისეთი წარმოსახვის უნარი ჰქონდა! — ხელები გაასახავდა მის კლაუდიმ.

— აი, ჩემი კი უბრალოდ უხეში გოგოა, — მკვახედ მოსჭრა მის პელიმ.

მისტერ ელის არაფერი უთქვამს. ვერ იყო კარგ გუნებაზე. აბარა იქნებოდა, ის ხომ ცდილობდა მასწავლებლები დარწმუნებინა, სინდი ელიანა უცხოპლანეტელია. უფრო მეტიც, თვითონვე დაიჯერა ეს და ახლა ისე გარბობდა თავს, თითქოს უღალატესო.

მისტერ ელიმ დერეფანში გავიდა. მასწავლებლებმა დამცინავი მზერა გააყოლეს. მის დანახვაზე ათი წლის სინდი გაჩერდა და გაუღიმა.

— როგორ გამასულელოთ! — ჩუმად ჩაილაპარაკა ფსიქოლოგმა, — საინტერესოა, რისთვის დაგჭირდათ ეს?

— არავისაც არ გაუსულელებიხართ, — არ დაეთანხმა გოგონა, — უბრალოდ მე თქვენ დირექტორს სიმართლეს ვერ მოვეუბნე.



ვებოლი.

— მაინც რატომ?

— იმიტომ, რომ მაშინ ჩიჭილება ის ამბავი, რომლის დანერახვებზე თქვენ ოცნებობდით. ნამდვილ ამბავს ფანტასტიკად ჩიჭიერ გაასახედ და...

— მაშასადამე, შენ მაინც ერთი არა ხარ?

— ამ წუთში ერთი ვარ. მომავალ შეხვედრამდე, მისტერ ელიმ — გოგონა შებრუნდა და წავიდა. მერე მოიხედა და ხელი ასწია. ექიმმა ელიმ უშალ ოთხი ხელი და ოთხი სინდის მომღიმარე სახეები დაინახა.

— გაიმეორეთ ჩემთან ერთად, — თქვა მის პელიმ, — „კატა ფანჯარაზე ზის“, სამი-ოთხი... დანწყებითი კლასების მასწავლებელი ისევ ჩვეულებრივად ატარებდა გაკვეთილს.

დები ელიანები აღარ დაბრუნებულან სკოლაში, წავიდა მისტერ ელიც, რომლის ახალი წიგნი სულ მალე უნდა გამოცემულიყო.

— „კატა ფანჯარაზე ზის“ — მორჩილად იმეორებდნენ მოსწავლეები. მარტო ერთი გოგონა დუმდა, კუთხეში რომ იჯდა, ფანჯარასთან.

— კაროლინა! — მკაცრად მიმართა მის პელიმ, — რატომ არ იმეორებ ლექსს?

— ჩემ სამშობლოში კატები ფანჯარებზე არ სხედან, — მიუგო გოგონამ. მის პელიმ გაფითრდა.

— ჩვენი კატები სამი მეტრის სიმაღლისა, — განაგრძო კაროლინამ, — და ცისარტყელასავით ფურადები არიან.

მასწავლებელს ცარცი ხელიდან გაუვარდა. შურდულივით გავარდა კლასიდან. ისე მიჰქროდა დერეფანში, გეგონებოდა, მოჩვენება მისდევსო. სკოლის ფსიქოლოგის კაბინეტთანაა შეედა. სული მოითქვა, დაკავუნა, შევიდა და... გაოცებისაგან პირი დააღო. მის წინ დივანზე ერთმანეთის გვერდით ისხდნენ მის კლაუდი, მის ტრიმბლი და მისტერ ლი. მაგიდასთან კი მწვანეთვალეობა, სახემღიმარე მის ქალიშვილი იდგა, რომელიც მის პელიმს აშკარად სადაც ჰყავდა ნახა.

— მოხარული ვარ თქვენი ნახვისა, მის პელი, — თქვა ქალიშვილმა, — მე სინდი ელიანა გახლავართ, თქვენი ახალი ფსიქოლოგი.

თარგმნა

სილონია ჯავახიშვილი

პითხვა თქვენი

რა არის ექსლიბრისი?

ნიპა ბილაშვილი,
საგარეჯო

სიტყვა ექსლიბრისი მომდინარეობს ლათინურიდან — ex libris — ნიგნებიდან. ეს არის მხატვრულად გაფორმებული ნიშანი, იარღი-




ყი, პატარა გრაფიურა, ან ლითოგრაფია, რომელიც მიკრულია ნიგნის ყდის შიგნითა მხარეზე და ნიგნის მფლობელს გვაცნობს, გვიამბობს რას წარმოადგენს იგი, როგორი ბიბლიოთეკა აქვს მას. საილუსტრაციოდ გთავაზობთ დიდებული ბიბლიოთეკის მფლობელის, ძველი თბილისის მომდერლის, პოეტ იოსებ გრიშაშვილის ექსლიბრისს.

მე და ჩემმა მეგობარმა უცხოური ქურნალების ფურცლისას ყურადღება მივაქციეთ იმას, რომ თურმე ჩვენთვის ცნობილი ე.წ. ქართული წმ. ნინოს და ბერძნული ჯვრების გარდა, სხვანაირებიც არსებულა. თუ შეიძლება, აგვიხსენით რა ჯვრებია ეს?

ნანა ჯიბლაძე,
ქ.თბილისი

გთავაზობთ ჯვრების სხვადასხვა სახეობებს (მარცხნიდან მარჯვნივ, ზე-



და რიგი): — წმინდა ნინოს, ძველგვიპტური ყულფიანი ჯვარი, ბერძნული, ლათინური, T-სმაგვარი, სვასტიკა, წმინდა ანდრიას; (ქვედა რიგი) — მალტური, ლორენული (რუსული საპატრიარქო), სამყურისმაგვარი, სახრჩობელისმაგვარი, ღუზის-მაგვარი.

სიცოცხლის გაკვეთილი

მსოფლიოს ყველა ქვეყანაში წერენ მოსწავლეები თხზულებებს, პასუხობენ დაფასოვანებს, ასევე ყველა ქვეყანაში უშვებენ ისინი სასაბჭოლო შეცდომებს, ზოგჯერ სისულელეებსაც კი.

სწორედ ასეთი სისულელეებით დაინტერესდა ფრანგი იუმორისტი მწერალი ჟან-პარლი, რომელმაც შეკრიბა და ცალკე ნიგნად გამოცა ისინი. გთავაზობთ რამოდენიმე ნაწყვეტს ამ ნიგნიდან, რომელსაც „უწინგნურთა ბაზრობა“ ჰქვია.

* * *

დედამიწის მიზიდულობა ნიუტონმა აღმოაჩინა. იგი ყველაზე მეტად შემოდგომაზეა შესამჩნევი, როცა ხეებს ფოთლები სცეცია.

* * *

არქიმედემ, აბაზანაში რომ იჯდა და ბანაობდა, თავისი საპირი იძოვა და შესძახა: „ეერიკა!“

* * *

პასტერმა აღმოაჩინა ყვევილი, ცოფი და სხვა დაავადებები. იგი მთელი კაცობრიობის კეთილისმყოფელია. მან კიდევ მიკრობები აღმოაჩინა და ბულონსა და პასტერიზებულ რძეში გამოცაყავდა ისინი.

* * *

ძროხა ბევრს არ ჭამს, მაგრამ საკვებს ორჯერ ღეჭავს და ამიტომაც პყოფნის.

* * *

კატას ოთხი ფეხი აქვს: ორი წინა სარბუნად და ორიც უანა — დასამუხრუჭებლად.


* * *

ზღარბი, გომბეშო და მერცხალი მწერების ჭამაში ეს მარებიან მებაღეებს.

პასუხი ჩვენს

ური გელერის ამბავი მართლაც ძნელად დასაჯერებელია. აბა რა იქნება, როცა მას შეუძლია თვითმფრინავით ფრენისას თითქმის შეუცდომლად მიუთითოს სად თქრო მოიპოვება, სად ალმასები, ნავთობი თუ ქვანახშირი... შეუძლია გააჩეროს საოკეანო ლაინერი, ჩაერიოს ცნობილი საათის ბიგ ბენის მუშაობის რიტმში, ისროლოს დაუტენავი ტყვიამფრქვევიდან, მოღუნოს ჩანგლები და კოვზები... ვინ არის ური გელერი - ახალი ბარონი მიუნჰაუზენი, დიდი მეფოკუსე, სუპერმენი თუ მომავლის ადამიანი? მოდით, თავად ურის წიგნის ნაწყვეტები წავიკითხოთ და იქნებ მაშინ შევძლოთ პასუხის გაცემა. მაშ, ასე - ვთავაზობთ ნაწყვეტებს ური გელერის წიგნიდან „ჩემი ისტორია“.

ბინდ
ლაიჯერეთ,
ბინდ
არა...



ძალიან კარგად მესმის, რომ მკითხველს მართლაც ძალიან გაუჭირდება იმის დაჯერება, რასაც მე გიამბობთ, მანამ ვიდრე საკუთარ თავზე არ გამოცდის ამას. ზოგჯერ მე უბრალოდ მაეინყდება, რომ ბევრისათვის ჩემი სიტყვები უცნაურად და დაუჯერებლად ჟღერს, მე თვითონ კი დიდი ხანია შეეჩვიე იმას, რაც მეშარება. ლაპარაკია ფენომენზე, და ჩმთვის ეს უდავოა. ამიტომ მიმაჩნია,

რომ აუცილებელია მისი დაწერილებით აღწერა მეცნიერული თვალსაზრისით უკაცრული კონტროლის პირობებში, როცა ყოველგვარი ფოკუსიგამოირიცხება: საჭიროა იმის დამტკიცება, რომ თითოეულ ადამიანში ჩადებულია ძლიერი ენერჯია, რომელსაც შეუძლია ჩვენს გარეთ არსებულ ენერჯიასთან ურთიერთქმედება. სოლო ჩვენ ეს ენერჯიები უბრალოდ ჯერ არ შეგვიცნია. ადამიანები აუცილებლად უნდა გაერკვნენ ამაში. კარგა ხანს მე თვითონაც ძალზე ბუნდოვანი წარმოდგენა მქონდა ჩემი იჩის, უნარის ბუნების შესახებ. თუმცა, ამ წიგნს რომ ვწერდი, მტკიცედ ვიცოდი, რომ ჩემი უჩვეულო უნარის სათავე უთუოდ რაღაც ფანტასტიკურ გონებასთან არის დაკავშირებული.

ჩემში უჩვეულო ენერგეტიკული ძალების არსებობა ბავშვობაში ვიგრძენი. ხანდახან კინოსავით უკან დავაბრუნებ სოლმე საკუთარ ცხოვრებას და ჩემს ბავშვობას ვხედავ. ჩვეულებრივ, პირველი და ერთადერთი ყველაზე საუკეთესო კადრი, რომელიც მახსენდება, არაბული ბალია ჩვენი სახლის სიახლოვეს თელ-ავივიში. მშვენიერი ტოტებგაშლილი ხეები, მადალი ლითონის ღობე და მოცრო ტბა ძველი სახლის გვერდით, კარგა ხნის გაუკრეჭავი ბალახი ბაღში. მე ამ დროს სამი თუ ოთხი წლისა ვარ. ბაღის ზოგი კუთხე

ჩაბნელებულია, იმიტომ რომ დიდი ხეები სინათლეს არ ატარებენ. მე იქ ჩემ თავს ვხედავ. ანაზდად თითქოს ამ დარდილული ბალიდან ბნელი, ღრმა სამყარო ამოიზრდებაო და მე ამ სამყაროში ვმოძრაობ, ჩემს თვალწინ ვარსკვლავთა მირიადები, ირმის ნახტომია. ირგვლივ კი უცნაური ხმები და ხასხასა ფერებია. ისევ ჩემს ბავშვობაში ვბრუნდები. ვხედავ ჩემს საყვარელ ძაღლს, შშობლებს, სკოლას. ვხედავ, როგორ ვთამაშობ რაღაც იდუმალ, მხოლოდ ჩემთვის ცნობილ თამაშებს. ერთი პანანინა ფოთოლი ჩემს წარმოსახვაში უზარმაზარ ხედ იქცევა, ბალახი კი — ზღაპრულ ტყედ. ხოლო ყვავილები აქ უზარმაზარია, ამიტომაც მე ვიგონებ, თითქოს ეს რაღაც სხვა პლანეტის უჩვეულო ხეებია.

ერთხელ ძალიან უცნაური რამ დამეპარათა. კარგად მესმის, რომ ის, რასაც ახლა აღვწერ, უმრავლესობას პატარა ოთხი წლის ბიჭუნას ფანტაზიად, ალისას ზღაპრის ფრაგმენტად მოეჩვენება. მიუხედავად ამისა, ეს სიძარბოა. დიას, მე მართლაც ძალიან პატარა ვიყავი, მაგრამ ჩემმა მესხიერებამ იმ შემთხვევის უმცირესი დეტალები შემოინახა. ცხადია, მაშინ მე ვერ ვაცნობიერებდი, მაინც რა შემემთხვა. უბრალოდ იძულებული ვიყავი, ისე მიმეღო ყოველივე, როგორც მოხდა, მაშინ ჩემს თავს ჯერ არ ვუსვამდი იმ კითხვებს, დღეს რომ ვუსვამ. მაგრამ, ვფიქრობ, ყოველივე ამას გარკვეული მნიშვნელობა აქვს, ვინ იცის, იქნებ სწო-

რედ აქ არის ჩემი ფნორმების საიდუმლო.

საღამოვდებოდა, თუშეცა ბინდი ჯერ არ ჩამოწოლილიყო. მე მარტოდმარტო ვთამაშობდი ჩემს პატარა ბაღში, დროდადრო ჩამქინებოდა ხოლმე, მოგვხსენებათ, პატარა ბავშვებს სშირად ემართებათ ასეთი რამ. ანაზდად ყურებში ძალიან ძლიერი, გამკვივანი რეკვა ვიგრძენი, რომელმაც ყველა დანარჩენი ხმა ჩაახშო. ძალიან უცნაური შეგრძნება მქონდა. და თითქოს დრო ერთბაშად გაჩერდაო, ხეებიც კი აღარ იმძრეოდნენ ქარზე. რაღაცამ მაიძულა ცაში ამეხედნა, — ძალიან კარგად მახსოვს, — ცა ერთიანად ვერცხლისფერი შუქით იყო დაფარული. მაშინვე გამოილევა ფიქრმა: „ნეტავ მზეს რა დამეპართა-მეთქი?“ ამყარად ისეთი მიზე აღარ იყო, მე რომ ადრე ვხედავდი ხოლმე. კამკამა სინათლე სულ უფრო და უფრო დაბლა ეშვებოდა. ბოლოს უშუალოდ მომიახლოვდა, უეცრად ძლიერი ბიძგი ვიგრძენი და ნაეიქეცი, პირაღმა დავეცი. შუბლში ისეთი აუტანელი ტკივილი ვიგრძენი, რომ ვიფიქრე, სადაც არის თავი გამისკდება-მეთქი, იმ წაშში გონება დაკვარგე. არ ვიცი, რამდენ ხანს ვინეჭი ასე. ის კია, რომ როგორც კი გონზე მოვედი, წამოვსტი და უმაღ სახლისაკენ გავიქეცი, ყველაფერი დედას ვუამბე. დედა რატომღაც გამიჯვარდა, მე კი ინსტინქტურად ვიგრძენი, რომ მოხდარაღაც ძალიან მნიშვნელოვანი რამ.

შემდგომში მე ბევრჯერ

მოიბრუნებია ბაღში, იქნებ კიდევ დაეინახო ის კამკამა ვერცხლისფერი სინათლემთქი, მაგრამ ამოვიდე დედა ჩემმა, რა თქმა უნდა, ჩათვალა, რომ ყველაფერი ჩემი ბავშვური ფანტაზია იყო და არ დამიჯერა. მთელი სიცოცხლე ჩემთვის ვინახავდი ამ ფიქრებს, არავის ვუშედავებდი. დღეს კი, როცა ენერგეტიკულ ძალებთან დაკავშირებით ქვეყნად ამდენი რამ ხდება, მე სშირად ვფიქრობ იმ საოცარ შემთხვევაზე.

მიჭირს იმის ზუსტად თქმა, თუ პირველად როდის აღმოვაჩინე ჩემ თავში უცნაური უნარ-შესაძლებლობები.

სულ ექვსი წლის ვიყავი, როცა მამამ პირველი საათი მიყიდა. თავი მომწონდა ამ საათით. მინდა გითხრაო, რომ სკოლა თავიდანვე მძულდა. ვიჯექი გაკვეთილზე და სულ იმის მოლოდინში ვიყავი, ნეტავ შესვენების დრო როდის დადგება-მეთქი. საათი რომ გამიჩნდა, წამდაუნემ დავხედავდი ხოლმე, დასვენების ზარი როდის დაირეკება-მეთქი. ზოგ სასკოლო ოთახში კედლის საათი იყო. მახსოვს, ერთხელ ვზივარ კლასში და ჩემ საათს დავეჭერი, რომლის მიხედვითაც, გაკვეთილი უკვე უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ ზარი არა და არ ირეკებოდა. მაშინ კედლის საათს ავხედე და დაეინახე, რომ გაკვეთილის დამთავრებამდე მთელი ნახევარი საათი იყო დარჩენილი. რას ვიზამდი, ავდექი და ჩემი საათი ნახევარი საათით უკან გადავწვი.

მაგრამ მეორე დღეს იგი-

ვე განმეორდა — ჩემი საათი
წინ წავიდა, ბევრად გაუსწ-
რო სკოლის საათს. ავდექი
და ეს ამბავი დედას ვუამბე.
გადავწყვიტეთ, რომ ჩემი სა-
ათი მოიშალა და დედამ შინ
დამატოვებინა იგი. დედაჩე-
მი ყოველდღე ამოწმებდა —
საათი სავსებით ნორმალუ-
რად მუშაობდა, არაფერი გან-
საკუთრებული არ მომხდარა.
ასე გრძელდებოდა რამდენიმე
კვირა და მალე მე ისევ
გავიკეთე მაჯაზე ჩემი საათი.
ძალიან მინდოდა ის მომენ-
ტი დამეჭირა, როდის დაინ-
ყებდა მისი ისრები უჩვეუ-
ლოდ მოძრაობას. იმ დღეს
საათი მოვიხსენი, წინ დავი-
დე და ყურადღებით დავაკ-
ვირდი. ცხადია, ცოტა ხან-
ში, სულ დამაივინყდა, რომ
თვალი უნდა შედევენებინა, მე-
რე შემთხვევით დავხედე და
შევაშინე, რომ ისრები სულ
უფრო გამალებით ტრიალებ-
და, გეგონებოდათ საათი გა-
დაირობათ. მე მასწავლებელს
დავუძახე: შეხედეთ, ჩემს სა-
ათს შეხედეთ-მეთქი და საა-
თი მალა ავნიე, ყველას რომ
დაენახა, მაგრამ კლასმა სი-
ცილი დამაყარა. გამოხდა
დრო და კიდევ ერთი უცნა-
ური ამბავი გადამხდა თავს.
ერთხელ, კლასში ვსხედვართ
და ჩემს გვერდით მჯდომი
ამხანაგი მეუბნება: „ვაი, ბი-
ჭო, ნახე, ჩემი საათი ერთი
საათით წინ წასულა!“ ჩემთ-
ვის მოულოდნელად, ამხანაგს
მივუბრუნდი და ვეუბნები:
„ეს მე გავაკეთე“. ამხანაგი შე-
მეკამათა, ყოვლად შეუძლებე-
ლიაო და მაშინ მე ვთხოვე
საათი მოეხსნა. დამთანხმდა.
ავიღე მისი საათი, ციფერბ-
ლატს დავხედე და წარმოეთ-

ქვი: „იმოძრავეთ“.

როგორც კი ორჯერ თუ
სამჯერ გავიმეორე ეს სიტყ-
ვები, საათის ისრები კიდევ
რამდენიმე დანაყოფით წინ
გადახტნენ. კლასი ახმაურდა,
ყველა გაიძახოდა, ეს მსოფ-
ლიოში ყველაზე საოცარი
ფოკუსიაო. მე გავმხიარულ-
დი. მაგრამ მალე ისეთ რა-
მეს გადავანყდი, რასაც შემ-
დგომში მთელი სიცოცხლე
ვანყდებოდი. ყველა დარწმუ-
ნებული იყო, რომ ეს მხო-
ლოდ მარჯვე ფოკუსია და
სხვა არაფერი, ვერაფრით ვერ
დავაბტკიცე, რომ არ ვიტყუ-
ებოდი.

უცნაური ენერგეტიკული
ძალები მაშინაც იჩენდნენ
თავს, როცა მე, დედაჩემი და
ჩემი მამინაცვალი კიპროსზე
გადავსახლდით. მაგრამ მე ამ
ძალებს არაფერში ვიყენებდი
და მოყოლითაც არავის ვუყ-
ვებოდი მათ შესახებ, იმიტომ,
რომ კარგად მახსოვდა, რო-
გორ დამცინოდნენ თელ-
ავიოში. უნდა გამოეტყველ-
ა, რომ დროლადროს სწავლაში
პრობლემები მიჩნდებოდა.
ცუდი მოსწავლე არ ვყოფილ-
ვარ, მაგრამ არც კარგი მეთ-
ქმოდა. გამოცდებზე რაიმე
კითხვაზე პასუხს გაცემა რომ
გამიჭირდებოდა ხოლმე,
კლასს გადავხედავდი და მეჩ-
ვენებოდა, რომ ყველა ახერ-
ხებს პასუხის გაცემას, მე კი
ვერა. — ერთხელაც მათემა-
ტიკის საკონტროლოზე გიუნ-
ტიერს კეფაში მივაშტერდი,
გიუნტიერი ერთ-ერთი საუკე-
თესო მოსწავლე იყო კლას-
ში, და უეტრად ჩემს შინაგან
გონებრივ ეკრანზე ყველა პა-
სუხი დავინახე.

თავში თითქოს თავის თა-

ვად გამიჩნდა ტელეეკრანი და
გარკვევით დავინახე გიუნტი-
ერის ყველა პასუხი. ვერ ვიტყ-
ვი, რომ მე ვგრძნობამ საე-
ნებს, არა, უბრალოდ, ისინი
იხატება ჩემს თავში, თითქოს
რალაც მონაცრისფრო ეკრან-
ზე გამოიხასებო. თუ ვინმე
თავისთვის რაიმე ნახატს, ნო-
მერს ან სიტყვას ჩაიფიქრებს,
მე ადვილად შემიძლია მათი
გამოცნობა.

ცხადია, გადავწყვიტე მე-
სარგებლა ხოლმე ამით. ამო-
ვირჩევიდი ყველაზე ჭკვიან თა-
ნაკვანტელს, მთელ ჩემს ყუ-
რადლებას მის კეფაზე მოვყ-
რიდი თავს და საჭირო პა-
სუხებსა და ამოხსნებს ვლ-
ბულობდი, რა თქმა უნდა,
ამასთან ისეთივე შეცდომებს
ვუშვებდი, როგორსაც ისინი.

მასწავლებლებმა იფიქრეს,
სხვებისაგან ისინი. ცვადა,
დამერწმუნებინა ისინი, რომ
არავისგან არ ვინერდი, მარ-
თლა ხომ ასე იყო, რა თქმა
უნდა, არ მიჯერებდნენ. გა-
მოცდებზე ცალკე მაგიდასთან
დამსვეს, ოთახის შორეულ
კუთხეში, საიდანაც სხვა მოს-
წავლეების რვეულებს ნამდ-
ვილად ვერ დავინახავდი.
გარდა ამისა, მასწავლებლ-
ბი თვალს არ მაცილებდნენ,
პერსონალურად მიცავდნენ,
თავზე მადგნენ.

ჩემთვის კი სულ ერთი
იყო, ისევ მივაშტერდი კლას-
ის საუკეთესო მოსწავლეს და
ყველა მისი პასუხი დავინა-
ხე. მასწავლებლები გადაირი-
ენ... გაოგნებულები მომჩე-
რებოდნენ, იმიტომ, რომ
სწორ პასუხებსაც ვწერდი და
მცდარსაც. არ იცოდნენ, რა
მოუხერხებინათ, მე კი ვერ
კებდავდი, მეთქვა, რაც მჭირ-

და...

დიდხანს ვფიქრობდი, აქვს თუ არა აზრი ამ ეპიზოდის მოყოლას. როგორც არ უნდა ვეცადო, ამ ამბავს მაინც დაჰკრავს სამეცნიერო ფანტასტიკის ელფერი. მაგრამ რაც მოხდა, მოხდა. დროც და ადგილიც უტყუარად ნამდვილია. უბედურება მხოლოდ მომხდარის ფიზიკურ შეუძლებლობაშია. ფიზიკის კანონები, იმ სახით, რომლითაც ჩვენ მათ ვიცნობთ, ვერ ხსნის ამ ამბებს უბრალო დროისა და სივრცის თვალსაზრისით, მაგრამ ბოლოს და ბოლოს გადაწყვიტე, ვიდრე არსებობენ თვითმხილველები, რომლებმაც იციან სიმართლე და რომლებსაც შეუძლიათ დაადასტურონ იგი, ყველაფერი დანერვილებით შეამბნა.

მაშ ასე, პარასკევს 1973 წლის 9 ნოემბერს, დაახლოებით 16 საათზე გამოვედი ბინიდან, რომელსაც მანჰეტენში ისტ-საიდზე ვქირაობდი. ჩემი მეგობრისათვის დოქტორ ლუის შენკმანისათვის ბინოვლი უნდა მეყიდა. საკმაოდ მალე მივაგენი ბინოვლს, რომელიც მომეწონა, ვიყიდე იგი და მარია და ბაირონ ჯანისებთან წაშოვედი, რომლებიც იქვე, მეზობლად ცხოვრობდნენ. მარიას თავისი სახელოსნო აქვს სახლის სარდაფში და ის და ჩემი საუკეთესო მეგობარი შიპი შტრანგი ამ სახელოსნოში მარიას სურათებს საგამოფენოდ ამზადებდნენ. სახელოსნოში დაახლოებით ხუთის ნახევარზე მივედი. ცოტა ვილაპარაკეთ და მერე მე და მარია ზემოთ აშოვედით, ბაირონი უნდა შენახა. შიპი კი სარ-

დაფში დარჩა, სურათების ჩარჩოებში ჩასმას აგრძელებდა. მე, მარიამ და ბაირონმარაღაც საინტერესო თემაზე გავაბით დისკუსია, მაგრამ უეცრად გამახსენდა, რომ 18.30-ზე ქალიშვილთან მქონდა პაემანი დანიშნული. დაიქმულ დრომდე ერთი საათი-ლა რჩებოდა, მე კი საჩუქრის ყიდვაც უნდა მომესწრო, შინ შერბენაც, შხაპის მიღებაც და ტანზე გამოცვლაც.

მალაზიის ვიტრინებს ვათვალიერებდი, საათს დაგხედე, ექვსი სრულდებოდა. არ მინდოდა დამეგვიანა და ფეხს აუწუქარე, სახლისკენ გავიქეცი, რომელიც ამ ადგილიდან დაახლოებით ერთი კვარტლით იყო დაშორებული. საათი შეიღბის სუთ წუთს უჩვენებდა.

პროფესორი ანდრია პუხარინი ამ დროს ოსინინგში იმყოფებოდა, ნიუ-იორკის გარეუბანში, მანჰეტენიდან იქამდე დაახლოებით 30 მილი ანუ მატარებლით ან მანქანით ერთი საათის სავალია. როგორც მოგვიანებით დავადგინეთ, მაშინ ის ლოგინში წოლილა და ტელევიზორში სადამოს ახალ ამბებს უყურებდა, მალე სადგურში უნდა დასულიყო თავისი თანაშემწის სოლვეიგ კლარკის დასახვედრად, რომლის მატარებელი 19.04-ზე უნდა ჩამოსულიყო.

ე.ი. 18.05-ზე მე სახლისკენ გავიქეცი, ანდრია ოსინინგში ტელევიზორს უყურებდა. სოლვეიგი ოსინინგის მატარებელში ჯდებოდა, სადაც იგი ერთ საათში უნდა ჩამოსულიყო. იაშა და ვერნერი თავის ოფისში გველოდ-

ნენ მე და შიპის. მას შემდეგ რაც შიპი სახელოსნოში შესაობას მორჩა და წავიდა, მარია და ბაირონი შინ დარჩნენ.

ნათლად მახსოვს ის მომენტი, როცა ჩვენი სახლის მეზობელ სახლს გაუხსნორდი. ანაზღად მომჩვენდა, რომ ნინ კი არ მივრბოდი, არამედ თითქოს უკან იქნებ ასეც იყო. მერე კი ვიგრძენი, რომ მაღლა-მაღლა მივინფევი. ჩემი სხეულის წონას ვეღარ ვგრძნობდი. მოულოდნელობისაგან თვალები დაეხუჭე, მაგრამ მაშინვე გაუახილე და დავინახე, რომ პაერში ვიყავი და რომელიღაც ვერანდის ფანჯრებს ვუახლოვებოდი, ფანჯრებს კოლოების სანინა-ალმდეგო ბადე ჰქონდა აკრული. შევეცადე ამ ბადეს ავცდენოდი, არ შევსკდომოდი, მხარი ნინ წავიფრე და ხელები სახეზე ავიფარე. ბადე გავგლიჯე, ოთახში შევფრინდი და მსხვილი მინის პატარა მრგვალ მაგიდაზე დავეწარცხე. მაგიდა გადაყირავდა, მე კი ვერანდის იატაკზე აღმოვჩნდი. გონება არ დამიკარგავს, მაგრამ ბუნებრივია, გაოგნებული ვიყავი. ფეხი მტკიოდა. მაგრამ ყველაზე მეტად იმან გამაოცა, რომ ანდრიას ვერანდაზე ვიმყოფებოდი ოსინინგში. სულ რაღაც წამის ნინ მანჰეტენში ვიყავი, თვალის დახამამებაში კი აქ აღმოვჩნდი. ვერაფერს ვგრძნობდი, დარტყმით მიყენებული ტკივილის გარდა. რაც ძალი და ღონე მქონდა, ვიყვირე, ანდრიას ვეძახდი. მაგრამ თავიდან არავინ გამომმასუსებია. მახსოვს, რომ მციოდა და საშინლად მწყუ-

საქართველოს პარლამენტის

როდა. მოგვიანებით ანდრიამ ჩემი მონათხრობი შეავსო. მან ახალი ამბების გამოშვების დაახლოებით ნახევრის ნახვა მოახსრო. სადღაც 18.15-ზე გაურკვეველი ხმაური და დარტყმის ხმა გაიგონა, თითქოს სახლს რაღაც დაეცაო. მაშინვე წამოხტა ლოგინიდან, საივე სართულის ყველა ოთახი შემოირბინა, მაგრამ ვერაფერი აღმოაჩინა. მერე ვერანდის კარს მიუახლოვდა და თუმცა სიბნელეში ვერაფერს ხედავდა, შუქი ანთო და გაოცებულმა მე დამინახა, მაგიდისა და მინის ნამტვრევებში ვინეჯი. ფანჯრის ბადეში უზარმაზარი ნახვრეტი იყო. ანდრია განსაკუთრებით გაუოცებია იმ ამბავს, რომ ხელში რაღაც კოლოფი შეჭირა, რომელზეც ბინოლი აღმოჩნდა.

ნელ-ნელა მიბრუნდებოდა აზროვნების უნარი. ანდრიამ სასწრაფოდ გამსინჯა, საბედნიეროდ, სერიოზულად არ დავშავებულიყავი.

როგორც გახსოვთ, მარია ჯანისი თავის ბინაში იყო ნიუ-იორკში სადღაც 18.15-ზე. ანდრიას დაურეკა, ანდრიამ ყურმილი აიღო, მაგრამ ვერ ელაპარაკა იმიტომ, რომ შოკში იყო. გაუგებრად წაილულღულა, აქ ახლა ერთი მეგობარი ზის და შენთან ლაპარაკი უნდაო, ყურმილი გადმოშტა და მე წარმოვთქვი: „მე აქა ვარ“. ახლა უკვე მარია ჩავარდა შოკში. ერთი საათიც არ იყო გასული, რაც მან ნიუ-იორკში მნახა, მე ხომ 17.30-ზე გამოვედი მისი ბინიდან. მე მარიას ვუთხარი, თვითონ ვერ გამოვიდა, როგორ აღმოვჩნდი ოსი-

ნინგში-მეთქი. მერე ცოტაით გონზე მოსულმა ანდრიამ ჩამომართვა ყურმილი და დაწვრილებით აუწერა მარიას, როგორ და რა მდგომარეობაში მნახა თავის ვერანდაზე. თუმცა კვლავ სუსტად ვგრძნობდი თავს, მაინც მოვიკრიბე ძალა და იაშასა და ვერნერს დაურეკე. მოგვიანებით მათ მიხსრეს, ხმა უჩვეულოდ გითრთოდაო. საათი ამ დროს 18.20 უჩვენებდა. შიში ჯერ არ იყო მარიას სახელოსნოდან მოსული. იაშას ვუთხარი, მინდა, ყველაფერი კარგად დაიმასხოვროთ, რა და როდის მოხდა, მე კი ცოტა აზრზე მოვალ და დაგირეკავ-მეთქი.

შიში მაშინვე მისულა ოფისში. იაშა და ვერნერი შეშინებულები და აღელვებულები დახვედრიან. როცა ჩემზე უთქვამთ, ეს წუთია ოსინი-გიან დაგვირეკაო, არ დაუჯერებია, ყოვლად შეუძლებელიაო...

ეს ყველაზე დრამატული ფენომენი იყო, რაც კი მე ოდესმე გადამხდენია. სრულიად აშკარა იყო, რომ ვერანაირი ტრანსპორტი ვერ მიყვანდა ხუთ წუთში, 18.10 და 18.15- შუა, მანქანიდან ნიუ-იორკში ანდრიას სახლამდე. სულ ვეკითხებოდი ჩემს თავს: „კი მაგრამ, რატომ ვერაფერი ვიგრძენი, რატომ არ მქონდა იმის შეგრძნება, რომ მივფრინავდი? რა დაემართა ჩემ სხეულს? მართლა მოლექულებად დავიშალე თუ რაღაც უცნობი განზომილება გამოვიარე? რა შემემთხვა, რა დამემართა?“ არ ვიცოდი. ან ბინოკლმა როგორ გამოიარა ეს ყოველივე ჩემთან ერთად?

რაც უფრო მეტს ვფიქრობ, მით უფრო ცხადად ვხედავ, რამდენად პატარები ვართ ყველანი, რამდენი რამ არ ვიცით ჯერ კიდევ. კიდევ რამდენი რამ უნდა შევიცნოთ. რადიომიმღები დენის მეტისმეტად ძლიერ წყაროს რომ მივუერთოთ, გადაიწვება. ჩვენც ზუსტად ასე ვართ, ზუსტად ასე მოუვა ჩვენს ტვინს თუ ჩვენ უეცრად ერთობადად მეტისმეტად ბევრ რამეს გავიგებთ, შეიძლება გავიჟედეთ. იქნებ ამიტომ არც მინდა რამე ვიცოდე. დე, ყველაფერი ისევ ისე იყოს.

იღუმალი მოვლენები კი ამასობაში გრძელდება და ჯერჯერობით ახსნას ვერ მოვლობს. ყველაფერს, რაც მე მემართება ხოლმე, ზუსტად და მკაფიოდ ვინერ, დოკუმენტურად ვინახავ, ვცდილობ თვითმხილველთა ჩვენებებიც დავერთო თან, რათა ყველაზე გამოუსწორებელმა სკეპტიკოსებმაც კი ვერ შეიტანონ ეჭვი მათ უტყუარობაში. შეიძლება, როცა ყველაფერი დაჯამდება, ჩვენ ყვესაერსოთ ჩვენ კითხვებზე პასუხების მიღება. ჯერჯერობით კი მე მარტო ის ვიცი, რომ ეს ამბები, ეს შემთხვევები უმაღლესი გონებების არსებობას შემახსენებს, თითქოს მათ შორის კავშირს ახორციელებს. ჩემი თეორია იმაში მდგომარეობს, რომ ჩემში გამავალი ენერგიები რაღაც უმაღლესი კოსმოსური გონებიდან მომდინარეობს. მე აქ ღმერთზე არ ვლაპარაკობ, არამედ რაღაც მძლავრ ძალებზე, ღმერთის ხელთ რომ არსებობს...

მოამზადა
მარიამ სოსიტაშვილმა



სიფყვის კონა

ჩვენი მშობლიური ქართული ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი, ზუსტი, მოქნილი და გამომხატველი ენაა მსოფლიოში არსებული სამ ათასამდე ენას შორის. ენათმეცნიერთა აღიარებით, თავისი „შინაგანი თავისებურებით იგი მსოფლიო ენაა“.

მაგრამ, რომ იცოდეთ, რამდენი დიდებული სიტყვა უმოძრაოდ ძევს სიტყვიერ საღაროში და დაუსასურებლად იწირება სამუდამო დავიწყებისთვის! იმავდროულად ჩვენ ან უცხოური ენებიდან შემოჭრილ სიტყვებს მივმართავთ, ან ამა თუ იმ საგნის, მცნების ან მოვლენის ზუსტად გამომხატველი ერთი სიტყვის ნაცვლად რამდენიმე სიტყვას ვხმარობთ, რითაც ვაღატაკებთ და ვაკნი-

ნებთ მშობლიურ ქართულს.

„ნაკადულის“ ფურცლებზე ამ ახალი განყოფილების შემოღებისას იმ იმედით ვხელმძღვანელობდით, რომ „სიტყვის კონა“ სიტყვიერი მარაგის გამდიდრებაშიც დაგეხმარებათ და კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ მშობლიურ ენას გაფრთხილება უნდა.

აბრავანი — ბურთის აღმა აკვრა (ფეხბურთში — ფეხით, ჩოგბურთში — ჩოგნით, ფრენბურთში, კალათბურთში, ხელბურთში — ხელით).

აბრეხი — უნაყოფო ვაზი.

აზარმანი — სიმძიმის ასანევი რკინის ან ხის გრძელი კეტი.

ალბანა — ქუსლებზე ან ცერთან გაცვეთილი წინდის ხელმეორედ გამონაქსოვი.

ალბში — მოგრებილი წკნელის ან მსხვილი მავთულის რგოლი, რომელშიც აწყობენ ტყეში მოჭრილ შუას და მაგრად გასჭედენ, რათა თრევა გაადვილდეს და თანაც არ დაიშალოს.

ალისპი — ხის აღვირი.

ალხი — ნაზამთრი მჭლე პირუტყვი.

ამყოლი — კარის აქეთ-იქითა ძელები, რომლებზეც ანჯამებით კარია ჩამოკიდებული.

ანჯამა — კარების მისაკრავი რკინის კილო.

თეატრი რთული ფენომენია!

ნათუნა ვულკაძე

2.

დიდასკალიებმა (საგანგებო ოქმები) შემოგინახეს თარიღი პირველი სპექტაკლის გამართვისა: 534 წელი ჩვენს წელთაღრიცხვამდე. დიდი დიონისეს დღესასწაული. წარმოადგენენ თესპიდის პიესას. სპექტაკლის დამდგმელი ორგანიზატორი თავად თესპიდია. გუნდმა ანუ ქორო (რომლის თითოეულ წევრს ქორეგეტი ეწოდება) ლამის გადაყლაპოს თავისივე სხეულიდან გამოყოფილი ერთადერთი მსახიობი. დრამატურგმა თესპიდმა ამ მსახიობის გამოყოფით თითქოს თავისი თავი გამოყო და წარმოაჩინა, მხოლოდ თავისი თავისთვის იზრუნა. მას არ სურდა მასში გათქვეფილიყო. სცენაზე ერთი ინდივიდი იდგა — მსახიობი თესპიდია. უფრო თესპიდია, ვიდრე მსახიობი, რადგანაც იგი უფრო გუნდის მოპასუხე (კორიფეჯის) იყო, ვიდრე მოქმედების განმავითარებელი მსახიობი. დღე დღეს მისდევდა, წარმოდგენები ერთმანეთს ცვლიდნენ, თეატრი ახალფეხადგმული ბავშვიები მიბაჯბაჯებდა მისთვის მეტად საძნელო გზაზე. ოდნავი წაბორძიკება და უამრავი განწველი ხელი უკვე მზად იყო მისაშველებლად. საყოველთაო სიყვარულით და მზრუნველობით ვარმოცული თეატრი ტყეშმარტივად საერი გახდა. ჩვიდმეტათასადგილიანი ათენის დიონისეს თეატრი მსურველებს ვერ იტივდა. ყველას ჰქონდა იქ შესვლის უფლება. დიდი თუ პატარი, ქალი თუ კაცი, ღარიბი თუ მდიდარი უწყვეტ ნაკადად მოედინებოდა. ბილეთის ფასი ღარიბ მოსახლეობაზე იყო გათვლილი. სახელმწიფო წარუწავდა როგორც თეატრზე, ისე მის მაყურებელზე. დემოკრატიულ ქვეყანაში სათეატრო წარმოდგენები, რომლებიც დიონისეს დღესასწაულებზე იმართებოდა, ყველასათვის უნდა ყოფილიყო განუყოფელი. „ყველაში“ პატივრებიც შედიოდნენ. საოცარი ფაქტია — სახელმწიფო მათ



თავისუფლებას ანიჭებდა იმდენი დღით, რამდენი დღეც სათეატრო წარმოდგენები უნდა გამართულიყო. დემოკრატიული პრინციპის გარდა აქ სხვა პრინციპიც მოქმედებდა. ის ეთიკური, ესთეტიკური თუ დიეოლოგიური ზეგავლენა, რასაც თეატრი ახდენდა პატიმარზე, სახელმწიფოს ნისკვილზე ასახამდა წყალს. დღეს ჩვენთვის წარმოდგენილია მსგავსი რამ — პატიმარი გამოუშვა ციხიდან იმი-სათვის, რომ სპექტაკლს დაესწროს. წარმოდგენილია და, ალბათ, არცთუ უსაფუძვლოდაც, რადგან ჩვენთან სპექტაკლით არც დღესასწაულებს წარმოადგენენ ხალხისათვის და არც ისეთ ზეგავლენას ახდენენ მასზე, სახელმწიფოს ნისკვილზე რომ დაასაშამ წყალს.


გრანდიოზული სათეატრო წარმოდგენები თავისი მასშტაბითა და გაქანებით იმ ნაგებობას შეესაბამებოდა, სადაც ეს წარმოდგენები იმართებოდა. თეატრი ღია ცის ქვეშ, კლდეში ამოკვეთილი ტერასებზედ განლაგებული ამფითეატრი მაყურებელთათვის, რომელსაც თეატრონი (ნიშნავს „უყუარენ“) ეწოდება, რკალისებურად გარს შემორტყმია მრგვალ სასცენო მოედანს — ორქესტრას (ნიშნავს „ვეცეკვა“), სადაც ქორო და მსახიობები გამოდიოდნენ და სქენეს (კარავი, სადაც მსახიობებიც ტანსაცმელს იცვლიდნენ), რომლის წინა კედელი — პროსკენიუმი, ტაძრის ან სახალის ფასადს წარმოადგენდა და დეკორატიული მიზნით გამოიყენებოდა.

მსახიობთა წინაშე რთული პრობლემები იდგა. ამ უზარმაზარი თეატრის ნებისმიერ ადგილას მჯდომი მაყურებლისათვის მის მი-

ერ წარმოთქმული ყოველი სიტყვა გასაგები უნდა ყოფილიყო, მისი ყოველი მოძრაობა, ყოველი ფესტი-დასანახი. მსახიობები ნიღბებს ატარებდნენ და კოთორნებზე (ხის ამაღლებული ფეხსაცმელი) იდგნენ, რათა მათი სახე, ტანი უფრო წარმოსაჩენი ყოფილიყო. ეცვათ გრძელი ქიტონები, რომლებიც კოთორნების არაბუნებრივ სიმაღლეს უზარადნენ. ნიღბების შიგნით კი ხმის გასაძლიერებლად დატანებული ჰქონდა სპეციალური რუპორები. ნიღბები მრავალნაირი იყო. ერთი და იგივე მსახიობი სპექტაკლის განმავლობაში რამოდენიმე ნიღბს იცვლიდა იმისდა მიხედვით, თუ რას გამოხატავდა მისი სულიერი მდგომარეობა: სიმშვიდეს, მრისხანებას, თუ ტანჯვა... კომედიურ სპექტაკლში კი კარიკატურული ნიღბები გამოიყენებოდა.

მსახიობი ქალი არ არსებობდა, ქალთა როლებსაც მამაკაცები ასრულებდნენ. ანტიკური თეატრის ორი მთავარი კომპონენტი — დრამატურგი და მსახიობი დიდ პატივში იყო. ზოგ მათგანს ელჩადაც გზავნიდნენ, მაღალ სახელმწიფო თანამდებობებზე ნიშნავდნენ.

ტრაგედიაში ქორო 12 კაცისაგან შედგებოდა (მოგვიანებით 15 კაცისაგან, რაც მის აქტიურობას ამცირებდა). კომედიის კი — 24 კაცისაგან. მათი მოშობა სპექტაკლისათვის გარკვეულ თანხებს მოითხოვდა, რასაც ათენის მდიდარი მოქალაქეები კისრულობდნენ. ისე რომ თეატრს არ უხდებოდა თხოვნა: მოგვეშველეთ, დახმარების ხელი გამოგვიწოდეთო. პირიქით, ისინი დიდ პატივს თვლიდნენ თუკი ქორეგოსად



(მდიდარი მოქალაქე, რომელიც გუნდის მომზადებას აფინანსებდა) აირჩევიდნენ. შეჯიბრებაში გამარჯვებული სპექტაკლის ქორეგოსი ხომ სახელსა და დიდებას იხვეჭდა. დრამატურგთან და პროტაგონისტ (მთავარი როლის შემსრულებელი) მსახიობთან ერთად ჯილდოს ისიც ინანილებდა. თითოეულ სპექტაკლს თავისი ქორეგოსი ჰყავდა.

დღიდან პირველი სპექტაკლის გამართვისა, სულ მოკლე ხანში, მესხეთე საუკუნეში ჩვენს ნეოთალრიცვამდე, ბერძნულმა თეატრმა თავისი განვითარების მწვერვალს მიაღწია. ეს პროცესი პირდაპირ კავშირშია დრამატურგიის განვითარებასთან. თუკი დღევანდელი ჩვენი თეატრი ძირითადად რეჟისორის თეატრია, ანტიკური თეატრი დრამატურგის თეატრია. იგი არის პიესის ავტორიც, მთავარი როლის შემსრულებელიც და სპექტაკლის დადგმის ორგანიზატორიც, ანუ დღევანდელი გაგებით რეჟისორიც, რადგან მაშინ ეს ტერმინი არ არსებობდა (სიტყვა „რეჟისორი“ ფრანგული წარმოშობისაა და ორგანიზატორს, მმართველს ნიშნავს). თეატრალური წარმოდგენები იყო შედგენილი დიონისეს დღესასწაულებზე დრამატურგთა შორის გამართული შეჯიბრებისა. დიონისეს დღესასწაულებზე სამი ტრაგიკოსი და სამი კომიკოსი სამი დღის განმავლობაში წარმოდგენდნენ საგანგებოდ ამ შეჯიბრებისათვის დანერგილ პიესებს. ტრაგიკოსი — სამ ტრაგედიას და ერთ სატირულ დრამას (მხიარული პიესა მითოლოგიურ სიუჟეტზე), ხოლო კომიკოსი —

ერთ კომედიას. აქედანაც ჩანს, რომ ანტიკურ თეატრში უპირატესობა ტრაგედიას განეკუთვნება. როგორც აღვნიშნე, ძველი საბერძნეთი ღმერთებისა და გმირების საბერძნეთია. მათი ჩვენება კი მთელი სიდიადითა და ბრწყინვალეობით ტრაგედიული ჟანრის ნაწარ-

